№ 209 ოქტომბერი 7, ხუთშაბათი 1888 ოქტომბერი 7, ხუთშაბათი № 209


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**გაზეთი „ივერია“ პირველ ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.**

ტფილისი, 6 ოქტომბერი

კაცობრიობას ბევრი განსაცდელი და შეცდომა გამოუვლია, ბევრი ჭირი და ლხინი უნახავს, მაგრამ დღევანდელისთანა საშიშო და საეჭვო ყოფას-კი არ შესწრებია. ყველა განათლებული, დაწინაურებული სახელმწიფო არა ჰზოგავს არავითარს საშუალებას, რომ ყელამდე თოფ-იარაღში ჩასხდეს და სხვა რომელსამე სახელმწიფოს თავი არ გაათელვინოს. ყველა იმისს მოლოდინშია, რომ ის ისტორიული ერთა-შორისი უთანხმოება და ანგარიში, რომელიც წლიდგან წლამდე, საუკუნოდგან საუკუნემდე იწნებოდა, რაც არის, უნდა გადასწყდეს. აი ამ განსაცდელის მოლოდინში მოსვენება არავისა აქვს, ყველას ხელი აუღია მშვიდობიანს, ნაყოფიერს შრომაზე და იმისს ფიქრში არიან, რომ ბრძოლის ველიდგან პირ-ნათლად დაბრუნდნენ. ყველა უფრთხის ამ საშიშს მდგომარეობას, რადგანაც დაიმედებული არავინ არ არის, რომ საქმეს თავისს სასარგებლოდ დაასრულებს; ყველას ეშინიან ერთა შეტაკებისა და თანაც დარწმუნებულნი არიან, რომ შეუძლებელია შეტაკება თავიდგან აიცილონ.

აი, ამ გვარს ყოფაშია ამ ჟამად ევროპა, რომელმაც იცის, რომ ერთა შორის ანგარიში დღეს თუ ხვალ უნდა გასწორდეს. ამასობაში ყველა იმას გაიძახის, რომ ომი, ადამიანის სისხლის ღვრა, კაცობრიობის წარმატების შემაფერხებელი საქმეაო; რომ ყველანი მოწადინებულნი ვართ და კიდეც ვსცდილობთ, მშვიდობიანობა დავამყაროთ, რადგანაც ომიანობა ყველასათვის ერთ ნაირად მავნებელი და დამღუპველიაო.

როგორც ჰხედავთ, თან დიდი სურვილი აქვსთ მშვიდობიანობა არ დაირღვეს და შეგნებული აქვსთ, რომ ომიანობა უძლიერესი მტერია კაცობრიობისა, და თან იმასაცა ჰგრძნობენ, რომ კეთილის სურვილის შესრულება, თუ ყოვლად შეუძლებელი არა, მეტად საძნელო საქმე მაინც არის. ამ გვარი ყოფა მეტად აფიქრებს მშვიდობიანობისა და წარმატების მომხრეთა და მოსარჩლეთ, რომლებსაც შეხორცებული აქვსთ ის აზრი, რომ კაცობრიობის კეთილდღეობის საძირკველი ძმობა და სიყვარულია და არა სისხლის ღვრა და თოფ-ჩახმახის გრიალი. ეს აზრი ჰტრიალებს ევროპის მწერლობაში, იზრდება და თანდათან მეტს მომხრესა და მოსარჩლეს ჰპოულობს.

ამ აზრს დასდგომია არა მარტო მწერლობა, რომლის ბუნებას ეზიზღება სისხლის ღვრა და ადამიანთა მუსვრა, არამედ ზოგიერთნი სახელმწიფონიც-კი მიმხრობიან. აქ შესანიშნავი ის არის, რომ ამ აზრის მომხრენი არიან ამერიკის რესპუბლიკელები; ევროპაში-კი, რომელიც ამერიკაზედ ბევრად უფრო ხნიერია და ომიანობას შეჩვეული, მხოლოდ ერთი და სახელმწიფო ესარჩლება. ეს სახელმწიფო პატარა შვეიცარიაა, რომელიც ომიანობას შეჩვეული არ არის და რომელსაც ძვალ-რბილში არა აქვს გამჯდარი „საომარენი ზნენია“. ამ სახელმწიფოთა აზრით, ერთა-შორისი უთანხმოება და ანგარიში სასურველი და შესაძლოც არის მორიგებით გაათავონ შუაკაცებმა. შვეიცარია კიდეც შეეკრა პირობით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულს შტატებს და ამ ორმა სახელმწიფომ, 1883 წ., დაადგინა ყოველი უთანხმოება ერთმანეთ შორის უნდა გადასწყვიტონ სამედიატორო სამართლით. თუ საჭიროება მოითხოვს, იმათ უნდა აირჩიონ ორი კაცი, რომლებმაც ერთი შუაკაცი უნდა დანიშნონ. ეს პირობა ამერიკის შტატებმა და შვეიცარიამ ოც-დაათის წლის ვადით შეჰკრეს.

ამაზე ადრე, 1881 წ., ავსტრიის იმპერატორმა მორიგა ინგლისი და ნიკარაგუა. ამერიკის რესპუბლიკებმა, ვენეცუელამ და კოლუმბიამ, მიანდვეს გადასაწყვეტად თავიანთი დავა საზღვრის თაობაზე ისპანიის მეფეს. ბოლივიამ და პერუმ დაადგინეს 1886 წელში, რომ ყოველი დავა მათ შორის საზღვრების გამო შეერთებულმა კომისიამ უნდა გადასწყვიტოს. 1885 წ. რომის პაპმა გადასწყვიტა დავა გერმანიასა და ისპანიას შორის კაროლინის კუნძულების შესახებ...

მართალია, ეს მაგალითები დიდი არაფერია და ამათ ჯერ ვერ შეუცვლიათ ის გზა, რომლითაც ევროპა მსვლელობს, მაგრამ ისინი მით არიან შესანიშნავნი, რომ აძლიერებენ ამ კეთილს აზრს. ადამიანს, რომელიც ომსა და ძმათა მოსვრას არის შეჩვეული, თანდათან საბუთი ეძლევა იფიქროს და კიდეც რწმუნდება, რომ შესაძლოა ადამიანთა ცხოვრება აიგოს ძმობასა და სიყვარულზე. კეთილი აზრი თანდათან ვრცელდება და აზრის გავრცელებასა და გაძლიერებას საქმეც მოსდევს ხოლმე.

ამ საქმეში, რასაკვირველია, დიდი წილი აქვს მწერლობასაც, რომლის დაწინაურებული რაზმი ძმობასა და სიყვარულს ჰქადაგებს. ერთმა ფრანგმა მწერალმა, პეიმ, დასწერა და დაბეჭდა თავისი თხზულება „ერთა-შორისს მორიგებაზე“. ისიც კარგია, რომ ზოგიერთნი სახელმწიფონი შუაკაცებს ანდობენ ხოლმე თავიანთის დავის გარჩევასა და გადაწყვეტას, მაგრამ პეი ამას არა სჯერდება. პეის აზრით, ერთა-შორის დავისა და უთანხმოების გადასაწყვეტად საჭიროა კანონების შემუშავება და ერთა შორისის სასამართლოს დადგენა. კანონები უნდა დასწეროს კომიტეტმა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ იურისტებმა, მწერლებმა და დიპლომატებმა. სახელმწიფოებმა უნდა აირჩიონ მოსამართლეები, რომლებიც უნდა ეხებოდნენ მხოლოდ ერთა-შორისს საქმეებს. ხარჯი ამ საქმისათვის უნდა გასწიონ ყველა სახელმწიფოებმა, რომელთაც საერთო თანხა უნდა გამართონ. სასამართლოს განაჩენი სავალდებულო უნდა იყოს მოდავე სახელმწიფოთათვის და სასამართლო ძალას არ უნდა ჰხმარობდეს თავისის განაჩენის ასასრულებლად. რაკი სახელმწიფოები დაადგენენ, რომ დავა სამართლის წესით გაათავონ, ცხადია, სასამართლოს არ დასჭირდება არც თოფ-იარაღი და არც ძალ-მომრეობა.

ჩვენ აქ მეტად მოკლედ მოვიხსენიეთ პეის თხზულების შინაარსი, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ავტორის პროექტი მეტად საყურადღებო და საგულისხმო. პეის აზრი მერმისს ეკუთვნის და, როცა იქნება, უნდა განხორციელდეს. მართალია, ურწმუნონიც ბევრნი არიან და ძველს გზას არ გადაუდგებიან,

## ფელეტონი

### არშის ციხე

(ხალხის ზეპირგადმოცემით)

ყმაწვილო, არშის ციხესა
არ შენისთანა ყმა უნდა;
ჩავეს ჩამტანი აბჯართა,
ამომტანელი სხვა უნდა.

შუა მოხევეებში არის ერთი ძალიან შესანიშნავი ძველი ციხე, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კლდე, რომელსაც მოხევეები უწოდებენ «არშის ციხეს». ციხე მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად, ე. ი. ყაზბეგის ფოსტის სადგურიდგან ტფილისკენ მე-45 ვერსის მანძილზედ, თერგის გაღმა მხარეს, სოფელს არშის თავს. ეს ციხე ძველებური სიმაგრეა და მოხევეებისათვის მტრის შემოსევის დროს თავშესაფარი ადგილი ყოფილა.

მართლაც ამ ციხეს მაშინდელს მნიშვნელობას ხალხის ზეპირგადმოცემა სრულიად და უკლებლად მოგვითხრობს. არშის კლდეს თავი გამინდვრებული აქვს და სიმაღლე ექნება 40—50 საჟენამდე. საიდამაც კლდე დაბალია, იქ ქვა-კირით ამოგებულია, რათა მტერმა ვერ აენოს თოფით; გალავანიც შემოვლებული აქვს და შიგ დატანებულია სათოფეები დარაჯებისათვის.

ეს ამოდენა უზარმაზარი ბუნებითი კლდე ადამიანს ციხე-სიმაგრედ გადაუქცევია.

არშის ციხეს შესავალი აქვს ჩრდილოეთის მხრით, სადაც ციხემდე მიდის კარგი გზა; ციხის მახლობლად, ციხის კარების ზღურბლის პირდაპირ სძევს ერთი სხვა კლდე. ამ ორს კლდეს შუა ხიდია გადებული და ხიდის პირიც ზედ ციხის კარებშია მისული; ხიდთანვე გაკეთებულია სადარაჯო — კლდეში გამოღებული მაგარი ქოხი; ამ სადარაჯო ქოხის თავს, 5 არშინის სიმაღლეზე, რამდენსამე ალაგას წითელი ჯვრებია დასმული და თითქო კაცის ხელის დანარტყამიც ატყვია. ამის თაობაზე მოხუცი კაცები ამბობენ, რომ ლეკებს კარის დარაჯისათვის, როცა სძინებია, თავი მოუჭრიათო და იმისი სისხლი წაუსვამთ. კლდე ხუთის არშინის სიმაღლეზეა; ალბად ის ლეკებიც ამ სიმაღლენი ყოფილანო.

ხიდს იქით, კლდეში, თვით შესავალში რკინის კარებია; ეს კარები იკეტება დიდის ძველებურის ჯაჭვიანის კლიტით, რომელსაც არშელები უწოდებენ განჯიდამ მოტანილს კლიტეს; როდესაც განჯა თათრებისათვის საქართველოს ჯარს წაურთმევია, ომის დროს დამსწრე ყოფილა ერთი არშელი გლეხი — ვიღაც ღურმა ბაზალი; ამ კაცს დიდი მხნეობა და ვაჟკაცობა გაუწევია და ჯარსაც ღურმას მეოხებით გაუმარჯვნია. არშელები და მოხევეები ღურმას ვაჟკაცობის დასამტკიცებლად ამ ლექსს მოგვითხრობენ:

არშას ბაზალი ღურმაი,
ვეფხვი კლანჭებზედ დგებაო;
განჯას შეგლიჯა კლიტენი,
ჩემს არშას მოუხდებაო.

მოხევეებში დღემდე დაცულია ეს ლექსი და ღურმას ჩამომავალთ ბაზალებს თავი მოსწონთ, დიდად მიაჩნიათ თავიანთის წინაპრით.

ციხეშივე უცხოვრნიათ რამდენსამე მოხევის ოჯახობას შიშიანობის დროს და ეხლად ეტყობა 80 ნასახლარი; 40-მდე სახლის კედლები ისევ მთლად და დაურღვევლადა სდგას. აქვე ჰქონიათ წმინდა გიორგის სახელზედ აშენებული ეკკლესია, რომელსაც არშელები ეხლაც ყოველ აღდგომის შემდეგ მეორე კვირას დღესასწაულობენ, — ეკკლესიის კედლები მთლად არის დაცული, ხოლო სართული არა აქვს. აქ არის ორი ჯვარი, — ერთზე ჯვარცმაა გამოხატული და მეორეზე წმინდა გიორგის სურათი.

ეკკლესიაში ვერავითარი წარწერა ვერ ვიპოვეთ, მარტო ერთის კედლის კუთხეში იყო არშინ ნახევრიანი რკინის ლახტი, რომლის ტარზე, ვგონებთ, თათრული წარწერაა. ამ ლახტს არშელები უწოდებენ ღურმას ლახტსა, რომელიც ღურმას კლიტესთან ერთად მოუტანია განჯიდგან.

ამ ციხეში ყოფილა ორის ვერსის სიშორეზე გამოყვანილი მაღლა მთიდგან მილის წყალი, მილის პირი და ხიდი შეერთებულა და მილი ისეა შეტანილი ციხეში, რომ მტერს არ შეეძლო წყლის მოსპობა. წყალი ციხეში შედენილა მილით და იქვე დიდრონ ქვებში ამოჭრილი აუზები ჰქონია; როგორადაც შეხიზნულს ხალხს, ისე იმათ საქონელს ამ აუზებიდგან უსვამს წყალი. ამ ციხის მცხოვრებთ ჰქონიათ წამლის ქარხანა, სადაც დღესაცა სჩანს თოფის წამლისა და გვარჯილის სადუღებელი მასალები.

ციხის კარების გარედ მეიდანი ჰქონიათ ქვით მოფენილი, სადაც ულეწიათ ქერი; კალოს მახლობლად ჰქონიათ სასაფლაო და აკლდამები. ამ ციხეს ბევრჯელ ლეკის ჯარი დასცემია და ძალიან გულით სდომნია იმისი აღება და ტყვეების გარეკა, მაგრამ აქედამ ვერც ტყვე წაუყვანია და ვერც ციხეში შესვლა მოუხერხებია. რადგანაც აქ ერთი განთქმული სიმაგრე ყოფილა, ლეკებს უთქვამსთ, რომ მანდ ბევრი რამ ძვირფასი ლარი სხვა იქნებაო; ამიტომ ერთი ზაფხული სულ აქ გაუტარებია ლეკის ჯარს, მაგრამ შესვლა ვერას გზით ვერ მოუხერხებია; ციხეში მყოფთ მოხევეებს მთელის ზაფხულის სამყოფი ხორაგი თანა ჰქონიათ და ასე კარ-დახშულნი ყოფილან ციხეში. ლეკებს კარი შეუკრავთ იმ აზრით, რომ მოხევეებს ხორაგი გამოელევათ, შიმშილით შეწუხდებიან და თავისის ნებით ჩაგვაბარებენ ციხესაო, მაგრამ ამ ხერხმაც ტყუილად ჩაუარათ თურმე.

შემდეგ ლეკებისთვის ერთს ვილასაც ბებერს უთქვამს: რას მომცემთ, რომ გასწავლოთ ამ ციხის გზაო. ლეკებს მაშინვე დაუსაჩუქრებიათ ბებერი და ბებერს უთქვამს: უნაგირი უნაგირზედ დასდეთ და ისე ადით ზევითაო. ლეკებს ბებრის რჩევა მაშინათვე შეუსრულებიათ და რაც ჯარს უნაგირები ჰქონია, სულ ამ ციხის ერთს მხარეზე აუგიათ; მართლაც, ბელადს გათენებისას თავისი ალამი ციხეში-კი აუტანია. ეს ამბავი ციხის დარაჯს შეუტყვია, ციხეში ასულ ლეკისთვის თოფი დაუხლია და თავისის ალმიანად ციხიდგან-კი გადმოუგდია; რამდენიმე ლეკიც კიდევ სხვა მოუკლავსთ.

შემდეგ მოუვლიათ ლეკებს ამ ციხის ზემო მთიდგან, რომელიც ზედ დასცქერის ციხესა, და იქიდგან თოფის სროლა გაუმართავსთ, მაგრამ ვერაფერი უვნიათ ციხეში მყოფთათვის. ამ დროს ერთს ბებერს უთქვამს ხალხისთვის: „მაინც მოხუცი ვარო და ერთი საუკუნოდ სახსოვარი საქმე უნდა ჩავიდინო ხალხის გულისთვის; თუ ლეკებმა მომკლეს, ხალხმა კარგი ქელეხი გამიმართოს; თუ ცოცხალი დავრჩი, კარგად მაცხოვროსო. მე მსურს, რომ ამ ჩვენს მტერს ლეკებს თოფები ჩემზე ესროლინო და ტყვია-წამალი სულ ჩემზედ დაეხარჯვინოო“. ბებერი შეკაზმულა, აუსხამს ტანზე იარაღი, დაუკრავს თავზედ ცოცხალი მამალი და ციხეს გარედ მეიდანზედ გამოსულა

მაგრამ კაცობრიობას რომ მუდმივ ძველის გზით ევლო, სამუდამოდ ერთსა და იმავე წრეში დარჩებოდა და წყვდიადით იქმნებოდა გარემოცული. ის დროც იყო, რომ ერთსა და იმავე ერსა და სახელმწიფოში კერძო კაცთა შორის სიმართლე ძალ-მომრეობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ კაცთა საბედნიეროდ ამასაც ბოლო მოეღო. დღეს კერძო დავის ძალით გადაწყვეტა მომაკვდინებელ ცოდვად არის აღიარებული. ეს, სხვათა შორის, იმისი საბუთია, რომ ერთა შორისაც ძალ-მომრეობა გადავარდება და ძმობა და სიყვარული ჩამოვარდება. პირველ ხნობით ერთა შორის კანონდებულება, რასაკვირველია, უნაკლულოდ არ იქნება, მაგრამ იგი თანდათან განკარგდება და შეივსება.

ა. ნ—ლი

## ახალი ამბავი

*** აქაურს გაზეთებში სწერია, რომ ბ-ნთ გ. დ. **ქართველიშვილს** და ი. მ. **მეუნარგიას**, რომლებმაც **მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას** მიართვეს—პირველმა ძვირფასი სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ და მეორემ—რუსულად გადაღებული შინაარსი «ვეფხის-ტყაოსნისა», უმაღლესად ებოძათ ბეჭდები, იაგუნდითა და ბრილიანტებით შემკული.

*** საპატიო ყარაულის ოფიცრებს პოდპოლკოვნიკს დ. ი. **ამილახვარს** ებოძა წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი და პრაპორშჩიკებს თავ. ნ. გ. ჭავჭავაძის, თავ. ს. ა. ანდრონიკაშვილს და თავ. ზ. ბ. ფაღავანიშვილს—წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი.

*** გაზეთ **„Новое Обозрѣніе“**-ს თიანეთიდგან ატყობინებენ დეპეშით: „ნაშუადღევის სამს საათზე **ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე** ბრწყინვალე ამალითურთ მშვიდობით მობძანდნენ თიანეთს. ქართველთა, ხევსურთა, თუშთა, ფშავთა და ვაჭართა წარმომადგენელნი და ადგილობრივნი მემამულენი ერთს ვერსზე იყვნენ გამწკრივებულნი და დიდის ამბით მიეგებნენ უავგუსტოესს სტუმართა. ხალხისა და ჯარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მათ უდიდებულესობათა და უმაღლესობათ დაათვალიერეს ჯარების ბანაკი. სატრიუმფო კარები და მთელი ბანაკი სულ ყვავილებშია ჩამჯდარი. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა სასახლეში და გრენადერებმა ძლიერის „ურა“-ს ძახილით გააცილეს. თიანეთის ქუჩებზე სიხარულით აღვსილი ხალხი დასეირნობს. საღამოს ჟამს შუშხუნები აუშვეს და ზარბაზნები გაისროლეს; ამას შემდეგ ყველა პოლკის მუსიკა უკრავდა. დიდი ზარი იყო, როცა მთელი ჯარი გამწკრივდა რამდენსამე ვერსზე და სალოცავად დადგა“.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნს თ. **ჟორდანიას** აქვს თურმე ერთი შესანიშნავი ძველი **ხელთ-ნაწერი პოემა** წმ. გიორგის თაობაზე. ეს ხელთ-ნაწერი ქაღალდზე დაწერილია და ეკუთვნის 1233-ს წელს. გარდა ამისა, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ბ-ნს დ. ზ. ბაქრაძესაც აქვს ართვინიდგან მოტანილი ქაღალდზედვე დაწერილი სახარება 1295 წლისა.

*** გუშინ-წინ, 5 ოქტომბერს, პირველი წარმოდგენა გამართა ბანკის თეატრში ფორკატის რუსულმა დრამატიულმა დასმა. წარმოადგინეს ვილდეს პიესა: «Въ помѣстьи г-жи Поводаевой». პიესა აზრიანია და შინაარსიანი. მოთამაშეთაც არა უშავდათრა. დასი ფორკატისა ჯერ სრული არ არის: მოელიან კიდევ ორსამს არტისტს ქალსა და კაცს რუსეთიდამ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ჩვენი არტისტი ბ-ნი კ. ყიფიანიცა, მაგრამ ამ პირველის დებიუტისათვის უმნიშვნელო როლი ჰქონდა მინდობილი.

*** ჩვენს გაზეთში ამ ორის წლის წინად დაიბეჭდა ვიღასიც წერილი, რომელიც ჩიოდა: აბანოში ვიყავი და ავად გავხდი, იქ შემეყარა სნეულებაო. მაშინვე გამოითქვა ის აზრი, რომ აბანოებში ავადმყოფებს აღკრძალული უნდა ჰქონდეთ სიარული, განსაკუთრებით ცუდის სნეულებით შეპყრობილთაო, მაგრამ, როგორც ეტყობა, გაზეთების ლაპარაკი დარჩენილა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. ჩვენ შეგვჩივიან, რომ გუშინ, თუ გუშინწინ ტფილისის აბანოში მივედით, სურბ-სარქისის ქვემოდგან, და შევაღეთ თუ არა აბანოს კარი, ისეთი სუნი გვეცა საჭეოწამლებისა, რომ შევფრთხით და შიგ შესვლა ვერ შევბედეთო. ესეც რომ არ იყოს, არა ერთი მაგალითი ყოფილა აბანოში საღ-სალამათის კაცის ბანაობის შემდეგ დასნეულებისა. დროა ვგონებ ყურადღება მიაქციონ ამ შემაძრწუნებელს გარემოებას ჩვენის უთაურობისას.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნავე: „მწყემსში“ სწერენ **კობიდგან**—მამა იტონიევმა მაღალ მთებიდგან ჩამოასვენა ყველა ხატები, რომლებიც დეკანოზების შთაგონებით ხალხს გამოუტანია ეკლესიებიდგან და სადღაც მთებში დაუსვენებია. ამის გამო ხალხი უფრო გადაემტერა მ. იტონიევს და ათას ნაირ საჩივრებს ჰგზავნიან იმაზე უმაღლეს მთავრობასთანაო.

ჩვენ ამაზე ერთი შენიშვნა შეგვიძლიან მივსცეთ „მწყემსის“ კორრესპონდენტს: ეკკლესიის განძი მთა ადგილებში რომ ინახებოდა და ზოგან ეხლაც ინახება, დეკანოზების ჩაგონებით-კი არა, თვით ხალხის სურვილი იყო. ხალხს საუკეთესოდ მიაჩნია ამორჩეულს კაცებს შეანახვინოს საეკკლესიო განძი. მთებში ყოველთვის ასე იყო და კარგადაც ინახებოდა ყოველი განძეულობა. ხალხი ხატობა დღეს შეიყრებოდა და იმის წინ გადიშლებოდა ყოველივე განძი ეკკლესიისა. ეს ანგარიშის მიცემასა ჰგავდა. დღესასწაულის გადახდის შემდეგ ხალხი ჩააბარებდა განძეულობას იმავე ამორჩეულებს (რიცხვით სამს, ან ოთხს), რომლებსაც ოთხს წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ. ეს ამორჩეულნი განძეულობას ინახავდნენ ისე, რომ სხვას არავის სცოდნოდა; ამ გვარად რამდენსამე საუკუნეს გაუვლია და არა დაკარგულა-რა. ეკკლესიებში, ან მღვდლის სახლში შენახვა განძისა ძალიან საშიშია და იშვიათი შემთხვევაა, რომ არ გაექურდოთ. მაგალითი მრავალია. ხევსურეთში ხახმატის წმ. გიორგის განძეულობა, რომელშიაც ვახტანგ გორგასლანისა და თამარ დედოფლის თასები იყო, ვერცხლეულობა ორასის თუმნისა, ხალხისაგან შენახული და დაცული მთელს ათასს წელს, ამ თხუთმეტის წლის წინად ჩამოართვა ბლაღოჩინმა ბოდაევმა და ეკკლესიაში შეატანინა; გაიარა სულ ორიოდე თვეემ და გაქრა ეს განძეულობა, ხმა გავარდა, ეკკლესია გაქურდესო. ხევსურებს ეს ამბავი დღესაც ვერ მოუნელებიათ. ამ სამიოდე წლის წინად ოქროს-კარიანი სამება გაცარცვეს და თვით ოქროს კარი მოიპარეს. მოხევეებში მრავალგან იყო სხვადა-სხვა ხატების განძეულობა და ყოველთვის, რაკი ხალხს ჩამოართმევდნენ, მაშინათვე სამუდამოდ ჰქრებოდა. დღეს უკეთესი შემნახავი ისევე ხალხი იქნება და იმისი ამორჩეულები. საცოდნელად შესაძლებელია დაწვრილებითი სია იყოს შედგენილი ყველა განძეულობისა და ამით ხალხიც გულ-დაჯერებული იქნება, რომ იმის მამა-პაპის ქირითა და ვაებით შეწირული და შენახული ხელ-შეუხებელი დარჩება, და სასულიერო მთავრობასაც ეცოდინება, სად რა განძი იპოვება.

*** **სოფ. სოღანლუღიდგან** გვწერენ: ორს ამ თთვისას სოღანლუღის სადგურის ზედამხედველმა ბ-ნმა რაჟ. ჩოჩიშვილმა ხევში შეასწრო თვალი ერთს დატვირთულს ფურგუნს. გააჩერებინა ფურგუნი და გასინჯა. ფურგუნში აღმოჩნდა კონტრაბანდით გამოტანილი ჩაი. მეფურგუნეს მაშინვე საქმე შეუყენეს; ცხენები, ფურგუნი, ამათი პატრონი და ჩაი წარმოუგზავნეს ტფილისის საბაჟო სადგურს. ჩაი ორმოც ფუთამდე იყო თორმეტს ტომარაში.

*** **ორხევი** (საფოსტო სადგური კახეთის გზაზე, ტფილისს ჰშორავს ათის ვერსით): 28 ენკენისთვეს ორხევის გზაზედ მიდიოდა პეტრე ლაბაჩევის ფურგუნი, საქონლით დატვირთული. ფურგონში, თვით პატრონს გარდა, ისხდნენ ზ. ბალაშვილი, მ. დონჭ და ფ. მ. არხეიპად ისხდნენ ფურგუნში და ტკბილად მუსაიფობდნენ. უცბად იმათ დაინახეს რამდენიმე შეიარაღებული თათარი. მიხვდნენ, რომ ავაზაკები იყვნენ. სანამ გონს მოვიდოდნენ, ავაზაკები კიდეც მიესივნენ მგზავრებს, ფურგონი გააჩერეს და

---

და ლეკების თოფებს ჩამოჰპირდაპირებია; დაუწყია თამაშობა, ლეკებს ამ ბებრისთვის დაუწყიათ სროლა, მაგრამ ჯარს მთელი დღე თოფები დაუხეთქიათ სროლით და ბებრისთვის-კი ვერა უვნიათ-რა; ბებრის თავზედ მჯდომი მამალი მოუკლავსთ და ბებერი-კი უვნებელი დარჩენილა. ამ ბებერს მეორე დღესაც იგივე ხერხი უხმარნია და მაინც ვერა უვნიათ-რა. ლეკებსაც ტყვია-წამალი შემოჰხარჯვიათ და ხელ-ცარიელი წასულან, უნაგირები-კი იქ დაუტოვებიათ. ბებერს ამ სახით გადაურჩენია ციხეში მყოფი ხალხი.

ერთს დროს ლეკებივე დასცემიან მოხევის სოფლებს ასაკლებად და სანამ ლეკის ჯარი მოსულა, სოფლელების ერთს ნაწილს შეუსწვრია არშის ციხეში და მეორეს სნოს ციხეში. სნოს ციხე აშენებულია სნოს გზის შესავალში და ალმასხევლეთის მხრივ უპირდაპირებს არშის ციხეს; იმათ შუა ორი ვერსი და ნახევარი იქნება. რადგანაც არშის ციხის დამორჩილება შეუძლებელი იყო, ლეკებს მიუმართავთ სნოს ციხისთვის. ერთის კვირის განმავლობაში სნოელებს (ღუდუშაურებს) ლეკებთან განუწყვეტელი ომი ჰქონიათ.

ამის თაობაზე მოხევეები ეხლაც შემდეგს ლექსს მღერიან:

სნოს ციხემ მაშინ შესტირა,
თვალები დაისველაო;
ნეტავი ჩემთა მეთოფეთ
ყელნი ვინ გაუსველაო;
ან ცოტა პური მიშშივა,
ან ძილათ მამისვენაო;
თოფები ვინ დაუგრილა,
წამალი დამისველაო.

ამ გახურებულის ომის დროს ციხის მეთოფეებს წამალი შემოჰკლებიათ და თოფის სროლა შეუწყვეტიათ; ლეკებიც თანდათან ამ ციხეს მიუახლოვდნენ; ეს ამბავი არშის ციხეში მყოფს მოხევეებს შეუტყვიათ და უთქვამსთ: რადგანაც სნოს ციხიდგან თოფის სროლა იშვიათად-ღა გამოდის, უთუოდ იქ წამალი შემოჰკლებიათო, საეჭვოა ლეკები სნოს გააფუჭებენ და ტყვეებსაც გაჰრეკავენო.

ამ დროს ვიღაც ამოვან ამსაჯანს უთქვამს: ეს თემი რა წყალობას მოიღებს ჩემზე, რომ მე იქ აქედამ წამალი მივაშველოვო. თემს უთქვამს: ჩვენ არავითარის წყალობის მოღება შენზედ არ შეგვიძლიან, მხოლოდ უკეთუ შენ სნოს ციხეში წამალს მიაშველებ, ჩვენ ვალად დავიდებთ, რომ შენ შენის შთამომავლობით ნება გქონდესო „ჩვენს თემში და ქალი უთხოვარი იყოს და სუფრა უწვევარიო!“—ესე იგი იმისს შთამომავლობას საცოლოდ ქალი არავინ დაუჭიროს და სუფრაზედ არსად დაპატიჟება არ უნდოდეს, თვითონ უკითხავად ყველგან მივიდეს. ამაზე დასთანხმებულა ამოვანი, აუსხამს იარაღი და აუკიდნია ზურგზედ ერთი გუდა წამალი; წამოსულა, ლეკის ჯარზე გამოუვლია. ლეკებს ეს ამბავი ვერ შეუტყვიათ და ამოვანიც ვერ უცვნიათ, რადგანაც ტანისამოსი ლეკური სცმია. სნოს ციხეში წამალი მიუტანია, დაბრუნებულა და ისევ არშის ციხეში მისულა. მაშინ სნოველებს ხელ-მეორედ გაუმართავსთ საშინელი ომი და ციხესთან მიახლოვებული ლეკებიც ბევრი დაუხოციათ. ამაზედ მოხევეები ლექსად ამბობენ:

შარამბალ ღუდუშაურო,
კაცი გამოხველ რა ხელი;
შენ მოჰკალ ლეკის ბელადი,
კარზედ გვკიდა თავ-ხელი.

ერთს საღამოს ჟამს არშის ციხიდგან გადმოუხედნიათ მოხევეებს და ძირს ჭალაში რამდენსამე ალაგას შეუნიშნავსთ, რომ ლეკებს ცეცხლი უნთიათ და მეორე დღისათვის გამზადებულნი არიან სოფლების დასარბევად. ამ დროს ერთს მოხევე ნადირ ეკარს ბერას უთქვამს ხალხისათვის: „მე შემიძლიან ეხლავ წავიდე და ახლად მოჭრილი სამის ლეკის თავი აქ ამოვიტანო ციხეშიო!“ წამოსულა ბერაი და დალაქობა მოუგონია; ჯერ ერთისათვის დაუწყია თავის მოპარსვა, გამოუკრავს სამართებელი ყელში და თავი მოუჭრია; გამოქცეულა და ორისთვის კიდევ წაუგდებინებია თავი და სამი თავი ციხეში-კი აუტანია.

თუმცა ამ ციხეს ბევრი სიკეთე მიუძღვის, მაგრამ ერთხელ ამ ციხესვე ჩაუშხამებია თავისი სიკეთე მოხევეებისათვის. ერთხელ საქართველოდამ მოსულა ერთი ვინმე, სახელად ბეგი. ხალხის სიტყვით, ეს ამბავი წარსულს საუკუნეში მომხდარა. ბეგი ამალითურთ შესულა ციხეში, ციხე მოსწონებია და შიგ დასახლებულა. ბეგს უთქვამს: ცოტა ხანს რომ ეს ციხე გავამაგრო და ხალხი შევიჩვიო, მეფობასაც მალე დავიჭეროო. მართლაც, რამდენსამე ხანს შემდეგ, ბეგს ჩაუდენია სხვა-და-სხვა უწესო და ბიწიერი მოქმედება. ბეგს მიუთვისებია ხალხი და გაუმაგრებია ციხეც. ეს ბეგი იმ ზომამდე უსინიდისო ყოფილა, რომ ცოცხალ კაცებისათვის ცოლები წაურთმევია და რამდენისამე ხნით ციხეში თვითონა ჰყოლია. ამისთანავე უნამუსო ქვეშევრდომნი ჰყოლია, რომლებსაც ჰგზავნიდა თურმე სოფლების დასარბევად, უბრძანებდა ამა-და-ამ კაცს უთხარით თავისი ცოლი ანუ ქალი აქ ციხეში გამომიგზავნოსო. რასაკვირველია, საჭმელ-სასმელს, კვერცხ-ქათამს, ცხვარ-ძროხას, ხარსა და სხვა საცხოვრებელს ვისდა ჰკითხავდა. ბოლოს დაუწესებია ამ უსამართლო მოსამართლეს, რომ თუ ვინმე ქალი გაათხოვონ, ისე ქმართან არ უნდა წაიყვანონ, სანამ ციხეში ბეგთან არ აიყვანდნენ საწოლად და უკეთუ ქმარმა უმისოდ წაიყვანა, მაშინვე ბეგი ქმარს თავს მოსჭრიდა და ქალის მამას სახლს დაუწვავდა. ამ გვარი წესი დაუდგენიათ და ძალა-უნებურად ასრულებინებდნენ თურმე. ამ დროს ერთს არაშელს თავისი ქალი გაუთხოვებია. სასიძო თურმე ამბობდა: რა ვქნა, რაკი ციხის ბატონი ბეგი ჩემს ცოლს არ დამანებებსო და პირველად ის წაიყვანსო, რაღა ჩემი ცოლი იქნებაო.

სასიძომ მოიფიქრა და თავისს სიმამრს უთხრა: შენ ბეგთან მიშუამდგომლე და საჩუქრად ქრთამს მივცემ, ოღონდ საცოლოს-კი ნუ გამიწბილებსო. სიმამრმა სიძის თხოვნა შეასრულა და სიძე-სიმამრი ორივე ციხეში ბეგთან წავიდნენ; თან ერთი ხარი, ოცი თუმანი ფული და ერთი კარგი თოფი წაიღეს, ბეგის წინ წარსდგნენ და ასე მოახსენეს: ესენა შენი საჩუქარი გახლავს და გთხოვთ, ეხლა რომ ქალი მყავს საქორწინოდ განმზადებული, ნუ გაგვიწბილებ და ეს ნუგეში გვეყავითო. ბეგს ეს საჩუქარი უცოტავებია და უთქვამს, რომ ასე ცოტა საჩუქარზედ არ გეპატიებათ ეგ ქალიო. სასიძოს უპასუხნია: აი უკანასკნელი ეს ხმალი მაქვს და ამასაც გიძღვნიო. წელზედ ნაბამი ხმალი ბეგისთვის მიუცია, ბეგს ხმალი გაუსინჯავს და უთქვამს: ხმალზედ-კი გეპატიებოდათ, რომ მოკლე არ იყოსო. ამ სიტყვებით ხმალი უკანვე გადაუგდია. სასიძოს ხმალი ხელში აუღია და უთქვამს: ეს ხარი, თოფი, ოცი თუმანი და ეს ჩემი ხმალი საჩუქრად მოგართვი, რომ შენს ღმერთსაც აპატიე და მეც ნუ შემირცხვენ საცოლოსაო. ბეგს დაუყვირნია: არ გესმის, ხმალი მოკლეაო, და ამითი გაუთავებია სიტყვა. გულზედ მოსულს სასიძოს უთქვამს: ხმალს სიმოკლე რას მოუშლის, ფეხი წარსდგი, წაგძელდებისო, და კაცს მანამდის ეშინიან, მინამ საქმე გაძნელდებისო. უთქვამს ესა, შემოუქნევია სასიძოს ხმალი და ბეგისთვის თავი-კი გაუგდებინებია. რაკი ეს ამბავი იმის ქვეშევრდომთ შეუტყვიათ, მაშინვე ციხიდამ გაქცეულან და ციხის საუნჯე, თუ რამე ჰქონიათ, სულ იქ დაუტოვებიათ. ამ სახით მოხევეებს ასეთი საძაგელი სატანჯველი და ბილწი ბეგარა მოუშორებიათ და განთავისუფლებულან უსამართლო და უსინიდისო ბატონისაგან.

ა. კ—ძე

გაცარცვეს ყველანი. ნივთეულობა წაიღეს 250 მან. სალირალი, ხოლო ფულად 300 მან. ავაზაკები მგზავრებმა ვერ იცნეს. პოლიციას გაცარცულებმა უთხრეს მხოლოდ, რომ ავაზაკები თათრის სოფ. თაქლისაკენ გაიქცნენო. პოლიცია ფიცხლად ჩაუდგა კვალში და, ბევრის ძებნის შემდეგ, წართმეული ნივთები იპოვნა ხსენებულის სოფლის გლეხების სახლებში. თვით სახლის პატრონები—ავაზაკები წინადვე დაიმალნენ. თუმცა პოლიცია ბეჯითად ეძებს ამ დამალულებს, მაგრამ აქამდე დამნაშავენი ვერ აღმოუჩენია.

*** ამას წინად აქაურს გაზეთებში ნაამბობი იყო, რომ ბ-ნმა ხოსროევმა, რომელიც ციხეში იმყოფება, ყალბის ფულის მკეთებელთ შეუდგინა ტყუილი ჩვენება, რათა ამ საშუალებით დამნაშავეთ სამართლისათვის თავი დაეღწიათ. ეხლა, როგორც გაზეთი „Тифлисскій Листокъ"-ი გვაცნობებს, ეს საქმე სრულიად გამოუძიებიათ. ხოსროევი თურმე გამოტეხილა და უთქვამს, რომ ერთის დამნაშავის თხოვნით შევადგინე ის ყალბი ჩვენება და მინდოდა ზოგიერთ მოხელეთა საქციელი გამომემჟღავნებინაო. ხოსროევს ამ ჩვენებაზე წაუწერია: „მე პატიოსანი ვიყავი და ბოლომდე პატიოსანვე დავრჩებიო".

## ქართული თეატრი

4-ს ოქტომბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „ქმრების დამონავება", დრამატიული სცენები ასტროვსკისა, გადმოკეთებული ალ. მ—სა, და ‹თილისმით მოარშიყე›, კომედია გ. ერისთავისა. ამ სეზონის ეს მეორე წარმოდგენაა და უნდა ვსთქვათ, რომ ეს წარმოდგენა სულაც არ იყოს სათვალავში, ისა სჯობია. „ქმრების დამონავება", თუმცა ასტროვსკის გათქმულ სახელით გამოდის ჩვენს სცენაზედ, მაგრამ ასტროვსკი რომ ამ პიესაზე არ მომცდარიყო, დიდი მარგალიტი არ დააკლდებოდა მისს სახელ-განთქმულს გვირგვინსა. ბევრი უშნო და უგემური პიესა გვინახავს და იმათ შორისაც-კი ეს პიესა არაფრად გამოსაჩენია. ორი ვიღაც სულელი, ერთი ხნიერი და მეორე ყმაწვილი კაცი, რაღასაც უგემურად მიედ-მოედებიან ცოლ-ქმრობაზედ, ცოლიანობას დიდს წუნსა სდებენ და უცოლობის თავისუფლებას ამკობენ და ადიდებენ. მესამე სულელი კიდევ, ცოლიანი ყმაწვილი კაცი, რაღაც ნათესავი ხნიერისა და მეგობარი უცოლო ყმაწვილ-კაცისა, წელებზედ ფეხს იდგამს, რომ იმ ორს სულელს გული და გუნება როგორმე შეუცვალოს და მათ მიერ დაწუნებული ცოლიანობა მათვე სანატრელად გაუხადოს. მთელი პიესა ამ უფსკრო საგანზეა აშენებული და მერე როგორ? ცარიელი ლაპარაკია, მიდებ-მოდებაა, უბედობაა, მერე უმარილო და ულაზათოა ისე, რომ გული გიწვრილდება, როცა ყურს უგდებ, არ იცი რა ჰქმნა და სად გაექცე ამ უგემურებას, ამ მოსაწყენს სანახავსა და საყურებელსა. მაყურებელნი, დაღალულნი და დაქანცულნი გაჭიანურებულ უგემურ ლაპარაკითა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ნეტა როდის გათავდება ეს ჩვენი გულის გაწვრილებაო.

არ ვიცით, რა გემოვნებამ, რა გამჭრიახობამ, რა ცოდნამ ამოარჩევინა დრამატიულ საზოგადოებას ეს პიესა სათარგმნელად? ამ პიესას, ჩვენის აზრით, არავითარი ღირსება არა აქვს, ნამეტნავად ჩვენის სცენისათვის. იქნება იმან წაიტყუა ჩვენი დრამატიული საზოგადოება, რაც უნდა იყოს, ახალი პიესა მაინც არის და ხალხს მოიწვევსო. ხალხის მოზიდვა მარტო იმით, რომ აფიშაზედ ახალი პიესა იქმნება გამოცხადებული, დიდი და დიდი შეცდომაა. ნუ თუ არ იციან, რომ „ახალსა ნამუდრავალსა, ისევ ძველის სჯობია ჩანჩალი". ამისთანა ახალს, როგორიც „ქმრების დამონავებაა", სწორედ რომ ისევ ძველის ჩანჩალი სჯობია. ან სად არის ეს „ქმრების დამონავება"? უსათუოდ ამ პიესის ავტორს აზრში დარჩენია, თორემ პიესაში-კი არსად არის. ჯერ ეს ერთი, რომ მთელ პიესაში მარტო ერთი ქმარია და ისიც დამონავებული არ არის და მეორე-კი ირთავს ცოლს თუ არა, ესე იგი, ქმრად ჰხდება თუ არა, პიესაც ჰთავდება და გაკვირვებული მაყურებელი პირში თით-გამოვლებული ჰრჩება: ვა! ეს ‹ქმრების დამონავება› სად გაგვეპარაო.

ჯერ პიესა ხომ თავის თავადაც არაფრის მაქნისია, თამაშობაც ვერაფრად მაქნისობდა. ჯერ ისა, რომ როლები თითქმის არავინ იცოდა მოთამაშეთაგან და ერთის სათქმელს ხანდისხან ის წამოიძახებდა ხოლმე, რომელიც უწინ მოჰკრავდა ყურს სუფლიორისა. ეს იქით იყოს,—ეს რაღა უბედურებაა, რომ არტისტმა არ იცოდეს, როგორ დაიჭიროს თავი ქალის წინაშე. ზურგ-შექცევით დგომა, თუ ჯდომა ნამეტნავად უცხო ქალის წინაშე ვერაფერი ზრდილობაა და მაყურებელს ყურების ხალისს უფუჭებს და უუგემურებს. ეს არა ერთხელ და ორჯელ მოუვიდა ბ-ნს აბაშიძეს თავის მეგობრის ცოლის წინაშე და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ბ-ნი აბაშიძე ხელოვანი და დიდად გამოცდილი არტისტია. ამისთანა თვალში ეკლად საცემს საქციელს უნდა ძალიან და ძალიან მოერიდნენ სცენაზედ, იმიტომ-რომ ამისთანა ნაკლს ყველა ადვილად შეჰნიშნავს და ნაკლის შენიშვნა და ეფექტის წახდენა ერთია.

თვითონ თარგმანი არ იყო ურიგო, თუმცა ხშირად უალაგო-ალაგას ხმარებულმა „მაგრამმა" გააფუჭა საქმე და თვითო-ოროლა ფრაზა პირდაპირ იყო გადმოღებული რუსულისაგან და ისე უხდებოდა ქართულს, როგორც ბულბულს ყვავის ჩხავილი; მაგალითებრ, „ეს მამე გაკვეთილია, სამზღვარ-გარეთელი ლიტრა" და სხვა ამისთანა. სხვაფრივ თარგმანს არა უშავდა-რა, მაგრამ თარგმანის რიგიანობამაც ვერ იხსნა თვითონ პიესა საუკუნო განსვენებისაგან.

არც მადლიანი რამ იყო მეორე პიესა ‹თილისმით მოარშიყე›. თვითონ პიესა ყოვლად უვარგისია და არც ერთს არტისტს იმისთანა სათამაშო არა აქვს, რომ რითიმე ასიამოვნოს და გაართოს მაყურებელი. მარტო იმ სცენამ მუაჯრებზედ, როცა ქ-ნი გაბუნია ერთის მხრით და ქ-ნი ჩერქეზიშვილისა მეორეს მხრით ერთმანეთს სიტყვით წაეძიძგილებიან, ცოტად თუ ბევრად გამოაფხიზლა მთვლემარე დარბაზი თეატრისა. თუ ამ სცენამ მხიარულად ჩაიარა მაყურებელთათვის, მოთამაშეების მადლობელნი უნდა ვიყვნეთ და არა ავტორისა. ამ ორმა ქალმა არტისტმა კარგად გაატარეს ეს სცენა, ნამეტნავად ქ-ნმა გაბუნიამ.

ხოლო ჩვილს თეატრში მყოფ საზოგადოებისას ვერც ამ სცენამ უშველა. ხალხი თეატრში ცოტა იყო და ვინც იყო, ისიც ჰნანობდა იქ ყოფნას. თუ ასე წავიდა ჩვენი წარმოდგენანი, საშიშია, რომ ხალხს შემოიფრთხობს. ეს მით უფრო სამწუხარო იქნება, რომ ჩვენი არტისტები, ქალნი თუ კაცნი, საკმაოდ დახელოვნებულნი არიან და მათ შორის არა ერთი და ორია იმისთანა, რომელიც სხვას, უფრო დიდს სცენას დაამშვენებს. ჩვენ ვისურვებთ, რომ ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ უფრო მეტი ცოდნა და გემოვნება გამოიჩინოს პიესების ამორჩევაში. თუ ჩვენი საკუთარი რიგიანი პიესები არა გვაქვს, ნუ თუ უცხოთა სცენის რეპერტუარში არა მოიპოვება-რა სათარგმნელად იმისთანა, რომ ჩვენმა არტისტებმაც გულიანად ითამაშონ და მაყურებელთაც სიამოვნება რამ ჰნახონ, თორემ ერთი-ორი ამისთანა წარმოდგენა კიდევ, როგორიც იყო 4-ს ოქტომბერს, და მშვიდობით და გამარჯვებით: ერთი აღარავინ მიეკარება ჩვენს თეატრს.

ტყუილი იმედია, ვითომ მარტო ქართველთ-მოყვარეობა შემძლებელ იყოს მოიყვანოს ხალხი თეატრში. აქ ქართველთ-მოყვარეობა ბევრს რასმე ჰნიშნავს, მაგრამ ყველაფერს-კი არა. ქართველთ-მოყვარეობასაც თავისი თაბაუთი და მოთხოვნილება აქვს. ქართველთ-მოყვარეობასაც უნდა, რომ თეატრიდამ გამოიტანოს რამ, რომ თეატრში მართებული სიამოვნება იგემოს, მართებული შექცევა და გართობა მოიპოვოს, გრძნობა გამოუღვიძოს, გონება გამოუფხიზლოს და დღის ვაი-ვაგლახისაგან დაღალულ-დაქანცულს შვება რამ მიეცეს. თორემ ცალიერმა ქართველთ-მოყვარეობამ ერთხელ და ორჯერ რომ მოიყვანოს ხალხი თეატრში, მესამედ და მეოთხედ-კი ნურას უკაცრავად: იგი სათოფე მანძილზედაც აღარ მოგეკარებათ, თუ გულის გაწვრილების მეტი სხვა ნუგეში არა დაახვედრეთ-რა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დრამატიული საზოგადოება საუკუნო განსვენებას ეტყვის იმისთანა პიესებს, რომელნიც 4 ოქტომბერს ჩვენდა დასამინებლად წარმოგვიდგინა, და ამით ჩვენს არტისტებსაც დაიხსნის უგულოდ თამაშობისაგან და ჩვენც—თვლემისა და მოწყენისაგან და ჩვენს თეატრს კიდევ—სახელის წახდენისაგან.

ერთი ესეც უნდა ვკითხოთ ჩვენის თეატრის გამგებელთ: ვინ დაჰრთო ნება ბ-ნს ყიფიანს, რომ ცალკე პირი პუბლიკისა ნიშნობლივ გამოიყვანოს სცენაზე და სასაცილოდ აიგდოს. ჩვენა გვგონია, რომ არც ერთმა რიგიანმა სცენამ ეს არ უნდა იკადროს: სცენას საზოგადო ტიპი ჰყავს სახეში და არა სახელდობრივი, ცალკე კაცი. ეს მეტის-მეტი უმსგავსობაა და უმართებულობა. თუნდ ეგეც არ იყოს, ამისთანა შეუწყნარებელი ზნე თუ დასჩემდა ჩვენს სცენას, ხალხს შემოიფრთხობს, იმიტომ-რომ რა კი დღეს ერთი ჩვენგანია სასაცილოდ აგდებული, ვერავინ ვერ გვითავდებებს, რომ ხვალ მეორე არ ჩააგდონ ამ დღეში და, რა თქმა უნდა, არავის ესიამოვნება მოსვლა თეატრში, საცა საფიქრებელია, ან თვითონ მოსული, ან მისი ნაცნობი ვინმე ჰნახოს სასაცილოდ აგდებული ნიშნობლივ. ჩვენ გვიკვირს, რომ ბ-ნმა რეჟისორმა ეს არ დაუშალა ბ-ნს ყიფიანს და უფრო გვიკვირს, რომ თვით ბ-ნმა ყიფიანმა, ამ გამოცდილმა, თავისის თავის ღირსების გრძნობით სავსე არტისტმა არ ითაკილა ესეთი სათაკილო საქმე.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრიელებს ძლიელ სწყენიათ, რომ გერმანიის იმპერატორმა არ აქო ავსტრი-ვენგრიის მხედრობა. ჩვენმა იმპერატორმა ფრანც-იოსებმა დალია სადღეგრძელო გერმანიის მხედრობისაო, აქო ეს მხედრობა, მაგალითად დასახა სხვა მხედრობათა შორისო და გერმანიის იმპერატორმა-კი ერთი საქები სიტყვა არა სთქვა ჩვენის მხედრობის შესახებაო. რა იქმნებოდა, რომ ექო რითიმეო. თუ მაგალითად არ დასახავდა სხვათათვის, ეს მაინც ებრძანებინა, რომ გულადია, ქველია, ყოჩაღიაო.

— არც იმაზე ემადლიერებიან გერმანიის იმპერატორს ვენელები, რომ ცივად დაუხვდა გრაფს ტააფეს. არც-კი მიიღო იმპერატორმა ჩვენი მინისტრ-პრეზიდენტი სანახავადაო. ორდენიც არა უბოძებიათ-რა მისთვისაო.

**იტალია.** 24 სექტემბერს მიატოვა გერმანიის იმპერატორმა მიწა-წყალი ავსტრიისა და იტალიისაკენ გაემგზავრა. თუ ავსტრი-ვენგრიაში იმპერატორი დაემდურა მასპინძლებს, რომ კარგად ვერ დაუხვდნენ, სამაგიეროდ იტალიელებს ვერ უსაყვედურებს ამასვე. იტალიაში დიდი მზადებაა გერმანიის იმპერატორის საგანგებოდ დასახვედრად. რაც ხანს იმპერატორი რომში დაჰყოფს, სულ განუწყვეტელი დღესასწაული უნდა იყოს და დიდი ამბებიო.

**გერმანია.** აღმოჩნდა თურმე, რომ გეფკენს ინგლისიდამ მოსვლია პირი იმპერატორის ფრიდრიხის დღიურისა. ამ პირიდამ გეფკენს ამოუღია ადგილები, დაუმატებია ზოგიერთი თავისი მოსაზრებანი და ამ სახით შემდგარა ის წერილი, რომელიც „დღიურის" სახელით იყო დაბეჭდილი გაზეთს „Deutsche Rundschau"-ში. ამბობენ, რომ ტყუილია, ვითომ გეფკენს განთავისუფლებას უპირებენო. გაზეთები კვლავ ბევრს ლაპარაკობენ გეფკენზედაც და მისგან დაბეჭდილს დღიურზედაც. ამ ლაპარაკის გამო ორს რედაქტორს კინაღამ დუელი არ მოხდენიათ.

**საფრანგეთი.** ყველანი და, ასე გასინჯეთ, თვით გერმანელებიც-კი ამბობენ, რომ ფლოკეს დეკრეტს უცხოელთა შესახებ ისე სასტიკად არ ასრულებენ, როგორც მოსალოდნელი იყოვო. სულ ამ ხნის განმავლობაში, რაც დეკრეტი მოქმედობს, ერთი უცხოელი კაცი იქმნა საფრანგეთიდამ განდევნილი. ეს კაცი გერმანიის ქვეშევრდომი აღმოჩენილა.

— ამ დღეებში ერთი სამწუხარო ინციდენტი კიდევ მოხდარა საფრანგეთისა და გერმანიის საზღვარზე. მატარებლით მიდიოდნენ საფრანგეთის ჯარის-კაცნი, ესე ერთი რაზმი. რკინის გზის სადგურზე შენიშნეს გერმანიის მატარებელი და დაიწყეს ძახილი: „Abas la Prusse, m... de pour la Prusse!"

— ერთს რუსულს გაზეთს როგორღაც არ მოსწონს დღევანდელი მთავარ-მინისტრი საფრანგეთისა ბ-ნი ფლოკე. ამ გაზეთის პარიჟელმა კორრესპონდენტმა ისე დღე არ გაუშვა თითქმის, რომ ფლოკეზე არ ჩამოაგდოს ლაპარაკი და წუნი რამ არ დასდოს. დღევანდელს ნომერშიაც მთელი კორრესპონდენცია დაბეჭდილი. ავტორი ათასს ბრალსა სდებს ფლოკეს. იმისი მოღვაწეობა მთავარ-მინისტრობაში ერთი უშველებელი შეცდომა იყოვო. ბევრს მოელოდნენ ფლოკესაგან და კი არა გამოვიდა-რაო. ყველა შეჰხაროდა იმისს წარმოსადეგობას, ამაყად თავ-დაჭერის უნარს, რობესპიერისებურს შლიაპას და ეგონათ, რომ ეს აცხოვნებს რესპუბლიკასაო. მეტადრე მეგობრები იყვნენ გადარეულნი: დიდი სახელმწიფო ნიჭის კაციაო. აღმოჩნდა-კი, რომ ვერაფერი ვერ მოახერხა. იწუნებდა იმპერიის დროს და იდუმალის ფონდების ქონებას და მინისტრობაში-კი ეს ფონდები თითონაც გაიჩინა; ჟურნალ-გაზეთობას ქრთამით აჩუმებდა; არც ერთი დაპირება არ შეასრულა. პარიჟს ავტონომია მიანიჭა და რატუშაში დღეს სარევოლიუციო კომიტეტი ზის. მუშებმა პირი შეჰკრეს და ფლოკემ არა იზრუნა-რა მაშინვე, ისე რომ ბოლოს ძლიერ გაძლიერდა მუშების ამბოხება. მოხდა არეულობა და მერე თითონვე ჯარებით დაამშვიდა მეამბოხენი. ტონკინში ხომ სულ გააფუჭა საქმე. რაც პოლ ბერმა იქ სიკეთე დასთესა, ფლოკემ ღვარძლად გადააქცია. პოლ ბერამდე ასე იყო: სამხედრო კაცნი განაგებდნენ საქვეყნო საქმეებს და, რასაკვირველია, ცუდად განაგებდნენ. პოლ ბერმა მიანიჭა ტონკინს თვით-მმართველობა და დააწესა ადგილობრივი მილიცია. ისინი, ვისაც საქმე არა ჰქონდათ და „შავ-ბაირაღოსნებში" ეწერებოდნენ პოლ ბერამდე, მერე მილიციაში ჩაეწერნენ და სასარგებლონი შეიქმნენ ქვეყნისათვის. ფლოკეს დანიშნულმა კაცმა-კი ყველა ეს მოსპო და კვლავ სამხედრო წეს-წყობილება და მმართველობა დაამყარაო. ასე ლაპარაკობს ამ რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი, მაგრამ გაზეთიცა და კორრესპონდენტიც ისეთი ბატონები ბრძანდებიან, რომ მათგან ამისთანები არავის უნდა გაუკვირდეს. გაზეთი გახლავსთ „Нов. Время" და კორრესპონდენტი იაკოვლევი, იგივე პავლოვსკი, ტოლსტოის „Власть тьмы"-ს ფრანგულად მთარგმნელი.

## წვრილი ამბები

სემენდრიაში (სერბიაში) ამას წინად აუგიათ ძეგლი ჟურნალისტის დავიდოვიჩისათვის. იგი ითვლება სერბიის ჟურნალისტიკის დამფუძნებლად, რადგან მან გამოსცა პირველი სერბიული გაზეთი „Србске Народне Новине", სერბიის საერო გაზეთი, 1812 წელს. დავიდოვიჩი გარდაიცვალა თავისს სამშობლოში 1838 წ.

— ნევშატელში ამ ახლო ხანებში შეიკრიბება თურმე საერთაშორისო კონგრესი, რათა რაიმე ღონე იღონონ უზნეობო გამოცემათა წინააღმდეგ.

— მემარხულეობის დამწყები დოქტორი ტანნერი, რომელმაც ორმოცი დღე იმარხულა და არას მიჰკარებია-რა, აცხადებს ეხლა, რომ უფრო დიდის ხნით მსურს მარხულობაო. იგი მექსიკაში იყო ოთხს წელიწადს, იძიებდა მიზეზს საღათას მილით დაძინებისას და დარწმუნდა თურმე, რომ დიდ-ძალი ხალხი იმარხება ცოცხალიო. დოქტორი იმ აზრისაა, რომ ადამიანს დიდხანს შეუძლიან უსაჭმლოდ და უჰაეროდ იცხოვროს, როგორც დათვი და სხვა ნადირნი სჩადიან, რომელნიც ზამთარს ბუნა-

გებში ატარებენო. ეს თავისი აზრი ტანნერს ჯსურს საბუთით დაამტკიცოს და პირობასა სდებს, რომ კუბოში ჩავწვები, დამზუქდეთ და დამმარხეთ მიწაში იმ ხნით, რა ხანსაც მე გეტყვითო.

— გოტენტოტელი ქალები ბედნიერნი შეიქმნენ, რადგან უეჭველია იმათის საბაბით პარიჟში ახალი მოდა შემოვა: იმათნი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, თუ ტიურნური აღიხოცა დედამიწიდგან. საფრანგეთის ერთს მოდის ჟურნალში სწერია: „Jardin des Plantes"-ში მოყვანილი გოტენტოტელი ქალები აშკარად ამტკიცებენ, თუ რა საძაგელი სამკაულია ტიურნური, როცა ამ სამკაულით ბუნებითვე ადამიანი დაჯილდოვებული. დროა, ვგონებ, ჩვენც დავიშალოთ, ამ სისაძაგლეს არ მივბაძავდეთ ხოლმე და ჩვენი თავი ჩვენ თითონვე არ მივამსგავსოთ გოტენტოტელებსაო.

— მორავიაში გარდაცვლილა ერთი ქვრივი დედაკაცი, ანნა ბარაკი, რომელსაც 123 წლამდე მიუღწევია; ეს დედაკაცი თუმცა ამ ექვსის წლის წინათვე დაუსინათლოვდა, მაინც უკანასკნელ ჟამამდე თავისის თავის პატრონი და მომვლელი თითონვე იყო თურმე. ანნას ქმარი ამ ათის წლის წინად გარდაცვლია, რომელიც 118 წლისა ყოფილა. ანნას სიკვდილს შემდეგ დარჩა 102 წლის ვაჟიშვილი, 96 წლის ქალიშვილი და 94 წლის რძალი.

— გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ II ისე არ უყვარს თურმე ღვინო, რომ სრულიად აღკრძალა, სადილზედ შამპანურს ნულარ გაასჯაჯანებთო. როცა ეს ამბავი შეიტყეს, ამბობდნენ, რომ ფრანგები ეჯავრება და იმათის სიძულვილით აღარც შამპანურს ეკარებაო. ამბობდნენ, მაგრამ მართალი კი არ არის. იმპერატორს ღვინო სძაგს და სხვა არაფერი. ერთხელ, მაგალითებრ, რეინის ღვინის მოვაჭრეებმა იმპერატორს ფეშქაშად ღვინო მოართვეს და აგრე სთქვა: „რაღა თქმა უნდა, არ შევარცხვენ ამ ბატონებს და ფეშქაშს უკან აღარ დავუბრუნებ, მაგრამ იმედი მაქვს არ დამძალებენ, რომ, გინდა თუ არა, უნდა დალიო ჩვენი მოტანილი ღვინოო". ეს ნაფეშქაშარი ღვინო თავის მახლობელთ დაურიგა თურმე.

— დოქტორს ვენნს ლონდონის ანთროპოლოგიურის ინსტიტუტისათვის წარუდგენია მოხსენება თავის ქალის ზომის შესახებ სამის წლის განმავლობაში კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტებისა. მის მიერ შეკრებილ ცნობათაგანა სჩანს, რომ სტუდენტებსა და განსაკუთრებით ახალს მოსწავლეებს უფრო დიდი თავი აქვსთ, ვიდრე სხვებს, და თავის ქალა მე 26 წელიწადზედაც-კი უდიდდებათო. პრეზიდენტი ანთროპოლოგიურის ინსტიტუტისა გალტონი არ დასთანხმებია და ამტკიცებს: საზოგადო წესია, რომ, რა საქმესაც უნდა ადგეს კაცი, მეოცე წელში გადადგება თუ არა, თავის ქალის ზრდა და მატება შეუდგებაო.

— ამას წინად პა-დე-კალეს ოლქაში ნაფიცთ მსაჯულთ გაურჩევიათ საქმე ვიღაც დღიურად მომუშავე ლუი ლებლანისა, რომელსაც თავისის ქალიშვილის განზრახ მოკვლა ედებოდა თურმე ბრალად. ამ, პირველის შეხედვით, უბრალო საქმის ყოველივე გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ზოლას საბაბი ჰქონია თავისის უკანასკნელის რომანის „La Terre"-ს დაწერვისა და გამოქვეყნებისა. ლუი ლებლანი 53 წლის კაცია, ქვრივი, უცხოვრია თავისს სამ შვილთან, ორ ვაჟიშვილთან და ერთ ქალთან, 21 წლის მშვენიასთან. ცოლი გარდაცვლია თუ არა ამ კაცს, თავისი ქალიშვილი დაუყოლიებია ბუნების წინააღმდეგს კავშირზე და დიდხანს ცოლ-ქმრული დამოკიდებულება ჰქონიათ შვილსა და მამას. ბოლოს, ამ წლის მკათათვეში, ქალს უთქვამს მამისათვის, რომ ერთს ჩვენს მეზობელს მინდა მივსთხოვდეო. ლებლანს ცეცხლი მოუკიდებია, გაულანძღავს, გაუთრევია თავისი ქალი და გარდაწყვეტილი წინააღმდეგობა გამოუცხადებია იმისი სურვილისათვის. 9 აგვისტოს ამავე საგანზედ მოსვლიათ აურზაური, გაბოროტებული ლებლანი დასმგერებია თავისს ქალსა და დანით სასიკვდილოდ დაუჭრია რამდენსამე ადგილას. ჩაუდენია თუ არა ეს მკვლელობა, ლებლანი გაქცეულა ტყეში და ტყისთვის შეუფარებია რამდენისამე დღის განმავლობაში თავი, ხოლო ბოლოს თითონვე მოჯბეზრებია ასეთი ყოფა და სამსაჯულოს წინაშე თავი გამოუჩენია. სასამართლოს ლებლანისთვის სიკვდილამდე კატორგა გადაუწყვეტია.

## დეპეშა

5 ოქტომბერი

ოდესა. საბერძნეთის დედოფალი დღეს წავიდა ათინას იახტით „ამფიტრიდა"-თი.

სევასტოპოლი. დღეს დიდის ამბით აკურთხებენ წმ. ვლადიმერის ტაძარს.

ბაქო. მათ უდიდებულესობათა მისაგებებლად მოვიდნენ გენერალი კამაროვი, პოლკოვნიკი ალიხანოვი, ორმ.ოცი ხანი და სხვა წარმომადგენელნი თურქმენებისა.

ათინა. საბერძნეთის გაზეთები ამბობენ, რომ საბერძნეთს მეტი უფლება აქვს მაკედონიაზე, ვიდრე ბულგარიასაო.

ნეაპოლი. იმპერატორი ვილჰელმი, იტალიის მეფე და პრინცები დაესწრნენ კასტელამარში ჯავშნიანის გემის ჩაშვებას.

პარიჟი. კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი, ეხლა შესდგომია ცხრა პროექტის გასინჯვას. კომისია მოუსმენს აგრეთვე პროექტების შემდგენელთ და მათ შორის ფლოკესა და ბულანჟესაც.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ოქტომბ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 150 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 261¼ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 237 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

7 დღე პარასკევი. მოწ. სერგიისა და ვაკხისა. კათოლ. მატილდასი. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე 14 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის —17, ჩადის 5—13. მთვარე 14 დღისაა.

8 დღე შაბათი. ღირსისა პელაგიასი. კათოლ. ნესტორისა. სომეხ. მესროფისა-ელიშესი, მოსესი და დავითისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11. მთვარე 15 დღისაა.

9 დღე კვირა. მოციქ. იაკობისა და ათანასესი. კათოლ. ბოგდანისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45, ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10. მთვარე 16 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | 4 | „ |
| მე-3 — . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, №101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის | | გადის | | სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საათი. | წამი. | საათი. | წამი. | | საათი. | წამი. | საათი. | წამი. |
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 0 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი. . | 8 | 24 | — | — |


## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ

ისყიდება

„საზოგადოების" კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა" ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე